

საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარება მე-3 კლასის
მაგალითზე

თამარ გიგაური
მაკა გაფრინდაშვილი
თამარ კეკელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდლულაძე, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს ჩვენი ჯგუფის ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ წარსულში გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის ციტირებული შესაბამისი წესების დაცვით.

თამარ გიგაური

მაკა გაფრინდაშვილი

თამარ კეკელიძე

26.06.2017

მადლობა

მადლობას ვუხდით ყველას, ვინც სხვადასხვა ეტაპზე აქტიური ჩართულობით და მნიშვნელოვანი რჩევებით დაგვეხმარა პრაქტიკის კვლევის წარმატებით განხორციელებაში.

პირველ რიგში, მადლობას ვუხდით თბილისის მწვანე სკოლის დირექტორს - ბატონ კახა დავითურს და ამავე სკოლის დამფუძნებელს ბატონ ბაკურ სულაკაურს, მე-3(ე) კლასის დამრიგებელს ქ-ნ ლელა ქეშელაშვილს და ამავე კლასის მოსწავლეებს, რომელთა მხარდაჭერის და აქტიური თანამშრომლობის გარეშე გაგვიჭირდებოდა პრაქტიკის კვლევის განხორციელება.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი პრაქტიკული კვლევის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს - ქ-ნ ნათია ანდლულაძეს, რომელიც კვლევის განხორციელების ყველა ეტაპზე გვეხმარებოდა სამუშაო პროცესის სწორი მიმართულებით წარმართვასა და პრობლემური საკითხების გადაჭრაში.

მადლობას ვუხდით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს - ნათია ნაცვლიშვილს და სოფიკო ლობჯანიძეს კვლევის პროცესში გაწეული კონსულტაციისთვის და შესაბამისი მეთოდური ლიტერატურის მოწოდებისთვის.

სარჩევი

აბსტრაქტი	1
Abstract.....	3
შესავალი	4
1.სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	6
1.1 წიგნიერების მნიშვნელობა ადამიანის ფორმირების პროცესში.....	7
1.2 ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარების მნიშვნელობა მოსწავლეებში.....	13
1.3 როგორ შეგვიძლია განვავითაროთ მოსწავლეებში გაგება-გააზრების უნარი?.....	15
1.4 კარგი მკითხველის უნარ-ჩვევები და სტრატეგიები.....	16
2. კვლევის მეთოდოლოგია	20
2.1 პრობლემის იდენტიფიცირება	22
2.2 დიაგნოსტიკის ეტაპი.....	24
2.3 მონაცემთა ანალიზი და ძირითადი მიგნებები	25
3. ინტერვენციების განხორციელების ეტაპი	29
3.1 ინტერვენციების ჩარჩო.....	31
4. ინტერვენციების შედეგების შეფასება	39
4.1 საკვლევი ჯგუფის დამრიგებლის რეფლექსიის ბარათის ანალიზი.....	40
4.2 მოსწავლეების რეფლექსიის ბარათების ანალიზი.....	42
5. საკვლევი ჯგუფის პრე და პოსტ ტესტების შედეგების შედარებითი ანალიზი	44
6. დისკუსია კვლევის ეფექტურობის შესახებ	47
7. კვლევის შეზღუდვები.....	48
8. რეკომენდაციები	48
8.1 რეკომენდაციები სახელმწიფოსთვის.....	48
8.2 რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის.....	49
8.3 რეკომენდაციები უნივერსიტეტისთვის.....	49
9. დასკვნა.....	50
ბიბლიოგრაფია.....	51
დანართები	52

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკული კვლევის ანგარიშს თემაზე: „საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარება მე-3 კლასის მაგალითზე“. ჩვენი ჯგუფის მიერ განხორციელებული პრაქტიკული კვლევის მიზანია საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების უნარის გაუმჯობესება თბილისის მწვანე სკოლის მე-3(ე) კლასის მოსწავლეებში. აღნიშნული თემის შერჩევა კავშირშია პრობლემის იდენტიფიცირების და დიაგნოსტიკის ეტაპზე გამოკვეთილ საკითხთან.

პრაქტიკის კვლევის ფარგლებში ინტენსიური სამუშაოები სკოლის ბაზაზე მიმდინარეობდა 2017 წლის მარტის პირველი ნახევრიდან 2017 წლის მაისის ბოლომდე. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს პრაქტიკის კვლევა.

პრობლემის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით, დიაგნოსტიკის ეტაპზე, გამოვიყენეთ კვლევის თვისებრივი მეთოდი, კერძოდ, ჩაღრმავებული ინტერვიუ კლასის დამრიგებელთან. დიაგნოსტიკის ეტაპზე ასევე მოხდა მოსწავლეებში წაკითხულის გააზრების უნარის შემოწმება როგორც მხატვრული ტექსტის, ისე საინფორმაციო ტექსტის შემთხვევაში.

ინტერვენციების შეფასების ეტაპზე გამოიკვეთა დადებითი ტენდენციები, კერძოდ, კვლევაში ჩართული მოსწავლეების დამოკიდებულება კითხვისადმი პოზიტიურად შეიცვალა, მოსწავლეებში გაუმჯობესდა საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების უნარი. ასევე, ჩვენს მიერ განხორციელებული პრაქტიკის კვლევის დასრულების შემდეგ, კვლევაში ჩართული მოსწავლეების მიდგომები და სტრატეგიები საინფორმაციო ტექსტთან მუშაობის კუთხით გაცილებით მრავალფეროვანი გახდა.

ჩატარებული პრაქტიკული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეებში საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების უნარის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია ზუსტად დადგინდეს რაში მდგომარეობს პრობლემა, ინტერვენციების ფარგლებში მოსწავლეებისთვის შეთავაზებული აქტივობები იყოს სახალისო, ხოლო სამუშაო ტექსტები მათ ინტერესებზე მორგებული.

ასევე მნიშვნელოვანია სწავლების პროცესი იყოს თანამშრომლობითი, სადაც მასწავლებელი იქნება თანმიმდევრული და მოსწავლეზე ორიენტირებული.

ძირითადი სამიზნო სიტყვები: გაგება-გააზრების უნარი, საინფორმაციო ტექსტი, დამოკიდებულებები კითხვისადმი

Abstract

The presented work is a practical research report on the “Development of Informational Text Comprehension Skills in Case of Third Graders” topic. The purpose of this research is to improve informational text comprehension skills among third grade students of Tbilisi Green School. This topic was selected based on the problems revealed during the problem identification and diagnostic stage.

In the framework of this practical research intensive works at school were conducted since March, 2017 until the end of May, 2017. The methodological basis of this research is a practical research. In order to learn the problem thoroughly, we used qualitative method and in particular, in cases of depth interview with a tutor. At the diagnostic stage, we also tested students' comprehension skills both in literary text, as well as informational text.

At the intervention assessment stage the positive trends were revealed, in particular, the attitude to reading among students involved in the research was positively changed; the students improved informational text comprehension skills. In addition, the tutor's strategies and approaches in case of informational text was diversified.

Based on the results of the conducted research we can assume, that in order to develop the informational text comprehension skills in students it is important to identify the exact problem and to offer interesting activities and texts adapted according to their interests in the frame of interventions. In addition, the learning process should be cooperative, where the teacher is consecutive and student-oriented.

Key words: Comprehension skills, informational text, attitudes to reading.